საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8/13

2022 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდის - ვადების გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნების განხილვის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნა, ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის - პერიოდის ვადების გაზრდის თაობაზე.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ (შემდგომში - კომპანია) 2022 წლის 28 იანვრის №2342573 წერილით (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი: №1105/01. 28.01.2022წ) მომართა კომისიას და განმარტა, რომ თავისი ძირითადი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების სრულად განსახორციელებლად, იგი დამოკიდებულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების თუ კერძო სუბიექტების წარმომადგენლებთან უშუალო, ფიზიკურ ურთიერთობებზე (ფიზიკურად დაწესებულებაში მისვლა, დოკუმენტის ჩაბარება, კანცელარიული წესით რეგისტრაცია და ა. შ). აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციისა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომელიც ეხება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას უზრუნველყოს გარკვეული მომსახურებების

შესრულება, კერძოდ, გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის განაცხადების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში ხარვეზის დადგენა და მიერთების/სიმძლავრის გაზრდის სამუშაოების კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში განხორციელება. აღნიშნული განაცხადების შემოტანა და განხილვა უშუალოდაა დაკავშირებული კომპანიის თანამშრომლებთან ფიზიკურ კონტაქტზე, უფრო კონკრეტულად კი, შესაბამისი ობიექტის მოკვლევის, პროექტირების, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და კერძო მესაკუთრეებთან შეთანხმებების მოპოვების, ნებართვებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების პროცესზე, რისი განხორციელებაც არსებულ სიტუაციაში შეუძლებელია.

კომპანია აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, როგორც მისი მომსახურების ცენტრებში, ასევე კომპანიის სათაო ოფისში, საგრძნობლად გაუარესდა ეპიდსიტუაცია. ყოველდღიურად მატულობს ინფიცირებულთა რიცხვი, კომპანიის პერსონალის გარკვეულ ნაწილს ყოველდღიურად უდასტურდებათ კორონავირუსი, ხოლო ინფიცირებულ თანამშრომელთა კონტაქტში მყოფი თანამშრომელთა ნაწილი გადასულია ან პერიოდულად გადადის იზოლაციაში. ამასთან, კომპანია სრულად გადასულია დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე და უწევს მოვალეობის შესრულება საკმაოდ რთულ სიტუაციაში. ამ პერიოდის განმავლობაში კომპანია მაქსიმალურად ცდილობდა შეუფერხებლად განხორციელებულიყო გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის განაცხადების სრული ტექნოლოგიური ციკლით უზრუნველყოფისათვის საჭირო მოქმედებები, თუმცა ინფიცირებული ან იზოლაციაში მყოფი პერსონალის რაოდენობა ცხადყოფს, რომ არსებული რესურსით უკვე შეუძლებელია მიმდინარე განაცხადებით მოთხოვნილი ახალი მომხმარებლის მიერთებების დადგენილ ვადაში შესრულება. იქიდან გამომდინარე, რომ არ მოხდეს მომხმარებლების ელექტროენერგიით შეფერხებით მომარაგება, კომპანიის ჯანმრთელ თანამშრომელთა არსებული რესურსი სრულად უნდა იყოს მიმართული ქსელის გამართულ და უსაფრთხო ექსპლოატაციაზე. ამასთან, ვირუსის გავრცელების არეალი და მასშტაბები არაპროგნოზირებადია და თუ ინფიცირების და იზოლაციაში გადასული პერსონალის არსებული ტენდენცია შენარჩუნდა, ზოგიერთ მუნიციპალურ ერთეულში შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს ქსელში ავარიულ დაზიანებებზე მყისიერი რეაგირებისთვის საჭირო რესურსების არსებობა და რეგიონებს შორის ჯანმრთელი თანამშრომლების მივლინების აუცილებლობა.

ზემოაღნიშნული წერილით კომპანიამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომელიც ეხება მომსახურების ცენტრების მიხედვით კორონავირუსით ინფიცირებული და იზოლაციაში მყოფი ტექნიკური პერსონალის რაოდენობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ტექნიკური პერსონალის საკმაოდ დიდი ნაწილი ან ინფიცირებულია ან გადასულია იზოლაციაში.

კომპანიამ წერილით წარმოდგენილ გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტის მიერთების/სიმძლავრის გაზრდის თითოეულ განაცხადზე მოითხოვა ვადის გაზრდა ერთი თვით.

წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, კომისიას მიაჩნია, რომ კომპანიის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

კომისიის 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებით" (შემდგომში - წესები) დამტკიცებული დანართი №2 ადგენს 0,220 კვ, 0,380 კვ და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების საფასურს და ვადებს. ამასთან, წესების მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტის მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის გაზრდის მოთხოვნით, თუ არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის სისტემის ოპერატორს ახალი ობიექტის მიერთების უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში. სისტემის ოპერატორის მოთხოვნა მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის გაზრდის თაობაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული ნორმა ასევე მოქმედებს ობიექტზე სიმძლავრის გაზრდის შემთხვევაშიც. კერძოდ, წესების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომხმარებლის მიერ „ელექტროენერგიის მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის შესახებ" განაცხადის განხილვა და დაკმაყოფილება უნდა განხორციელდეს იმავე წესითა და პირობებით, როგორც ეს განსაზღვრულია წესების მე-17 და მე-18 მუხლებით, თუ ამ მუხლით მომსახურების სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

კომისიას მიაჩნია, რომ კომპანიაში დასაქმებული პირების დიდი ნაწილის ახალი კორონავირუსით (COVID-19) დაავადება, რის გამოც კომპანია ვერ ახორციელებს ქსელთან ახალი ობიექტების მიერთებას/სიმძლავრის გაზრდის გაზრდის სამუშაოებს წესებით დადგენილ ვადებში, წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის გამოც, მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების შეუცვლელად დაცვა. მიუხედავად პრინციპისა, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს, მხარე არ შეიძლება იყოს შესრულების ყოველგვარი რისკის მატარებელი, რადგან ეს არღვევს სახელშეკრულებო წონასწორობას. ახალი მომხმარებლის მიერთების დადგენილ ვადაში უზრუნველყოფის მიზნით ვერ იქნება გამართლებული ისეთი გარემოების უგულებელყოფა, რომელიც ართულებს შესრულებას იმგვარად, რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა „ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს", (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის პირველი ივლისის განჩინება, საქმე №ას-397-381-2016). კომისია მიიჩნევს, რომ სახეზეა ისეთი შემთხვევა, როდესაც, „მიუხედავად მოვალის კანონშესაბამისი და გულისხმიერი მოქმედებისა, მოვალის ნებისგან დამოუკიდებელ ობიექტურ გარემოებათა გამო ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 თებერვლის განჩინება, საქმე №ას908-856-2010). განსახილველ შემთხვევაში, კომპანია, მისგან დამოუკიდებელი მოვლენების გამო, მოკლებულია შესაძლებლობას დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ვალდებულების შესრულება.

კომისიას მიაჩნია, რომ კომპანიას უნდა მიეცეს ვადა კომპანიაში დასაქმებული პირების ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების

მიზნით, მისი სალიცენზიო არეალის ფარგლებში, განახორციელოს სათანადო ღონისძიებები.

ამასთან, კომპანიამ 2022 წლის 16 თებერვლის №2343671 წერილით (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი: №2450/01. 16.02.2022წ) მომართა კომისიას, სადაც აღნიშნა, რომ რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად, გამოიჩინა მაქსიმალური ძალისხმევა და 422 განაცხადით მოთხოვნილი ობიექტების გამანაწილებელ ქსელთან მიერთების/სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები დაასრულა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადაში. შესაბამისად, კომპანიამ დასრულებულ განაცხადებზე მოითხოვა ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეწყვეტა.

კომისიას მიაჩნია, რომ გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის იმ განაცხადებზე, რომელებზეც შესაბამისი სამუშაოები უნდა დასრულდეს 2022 წლის თებერვალში და მარტში (კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში), მიერთების/სიმძლავრის გაზრდის ვადები გაიზარდოს 1 თვით (გარდა იმ განცხადებისა, რომლებიც კომპანიაში დარეგისტრირდა 2021 წლის 23 აპრილს და 22 ივლისს, ასევე რომლებზეც კომისიის 2021 წლის 9 სექტემბრის №39/1 და 2022 წლის 20 იანვრის №2/6 გადაწყვეტილებებით გაიზარდა მომსახურების გაწევის ვადები), ხოლო იმ განცხადებზე, რომლებიც სრულდება 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით - 10 სამუშაო დღით და ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის სახით (1501 განაცხადი). ამასთან, კომისიას მიაჩნია, რომ კომპანიამ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები უზრუნველყოს დაჩქარებულ ვადებში იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომლებზეც ქსელზე მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდი გაიზარდა დანართი №1-ით, თუმცა მათი ელექტროენერგიით მომარაგების დაწყება/შესაბამისი სიმძლავრით მომარაგება ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

კომპანიის მიერ ასევე მოთხოვნილი იქნა ქსელთან მიერთების/სიმძლავრის გაზრდის ვადების გაზრდა იმ განაცხადებთან მიმართებაში, რომელთა კომპანიაში რეგისტრაცია მოხდა 2021 წლის 23 აპრილს და 22 ივლისს (რეგისტრაციის ნომრები: 8752652 და 8790947), ასევე რომლებზეც მომსახურების გაწევის ვადები უკვე გაიზარდა კომისიის 2021 წლის 9 სექტემბრის №39/1 და 2022 წლის 20 იანვრის №2/6 გადაწყვეტილებებით (დანართი №2). კომისიას მიაჩნია, რომ კომპანიას გააჩნდა საკმარისი დრო, რათა აღნიშნული განაცხადებით გათვალისწინებული სამუშაოები დაესრულებინა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. შესაბამისად კომისიას მიაჩნია, რომ ამ განაცხადებზე არ უნდა გაიზარდოს მომსახურების გაწევის ვადები.

კომპანიამ ქსელთან მიერთების/სიმძლავრის გაზრდის ვადების გაზრდა მოითხოვა იმ განაცხადებზეც, რომლებზეც კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №43/7 გადაწყვეტილებით მომსახურების გაწევის ვადა უკვე გაიზარდა 2022 წლის 1 ივნისის ჩათვლით და განაცხადებზე, რომელთა გეგმიური დასრულების ვადა იწყება 2022 წლის 15 აპრილის შემდეგ (დანართი №2). კომისია თვლის, რომ ამ პერიოდამდე დარჩენილია საკმარისი დრო და კომპანიამ უნდა შეძლოს ხაზობრივი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების წარმოება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ კომპანიის მოთხოვნა დანართი №2 -ით გათვალისწინებულ განაცხადებზე (149

განაცხადი) ქსელთან მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდის - ვადების გაზრდის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ვინაიდან წარმოდგენილი განაცხადების ნაწილთან მიმართებაში, კომპანიის მიერ დაცული იყო ის პირობები და პროცედურები, რაც გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდის - ვადების გაზრდის თაობაზე მოთხოვნისთვის წესებითაა დადგენილი, ამასთან, არსებობს ის შემთხვევა, რომლის თავიდან აცილება ან რომლის მიუხედავად ვალდებულების დადგენილ ვადაში შესრულება კომპანიას არ შეეძლო, ეს გარემოება, წესების მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის მიზნებისათვის შეიძლება მიჩნეულ იქნეს ობიექტურ გარემოებად.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის, 155-ე და 168-ე მუხლების, აგრეთვე, კომისიის 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილებით დამტკიცებული ,,ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" (შემდგომში - წესები) მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" განცხადება ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდის - ვადების გაზრდის თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის მომსახურების ვადები იმ განაცხადებზე, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის შესაბამისად უნდა დასრულდეს 2022 წლის თებერვალში და მარტში, გაიზარდოს ერთი თვით, ხოლო იმ განაცხადებზე, რომლებიც უნდა დასრულდეს 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით - 10 სამუშაო დღით და ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის სახით.

3. უარი ეთქვას სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდის - ვადების გაზრდის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დანართი №2-ით გათვალისწინებულ განაცხადებთან მიმართებაში.

4. დაევალოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" უზრუნველყოს ქსელთან მიერთების/სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები დაჩქარებულ ვადებში ისეთ ობიექტებთან მიმართებაში, რომლებზეც მომსახურების გაწევის ვადები გაიზარდა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუმცა მათი ელექტროენერგიით მომარაგების დაწყება/შესაბამისი სიმძლავრით მომარაგება ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

5. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან და ვრცელდება მიერთების/სიმძლავრის გაზრდის განაცხადების კომპანიაში წარდგენის თარიღიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარეებისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან (ჩაბარებიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

ეროვნული ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია
National Energy and Water Supply Regulatory Commission
Georgia
204400200